

საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი ტურიზმის მდგრად  
განვითარებაში

ლია ხელაძე  
ნათია მუხულიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნეს სკოლის ფაკულტეტზე, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

ტურიზმის მენეჯმენტი, ბიზნეს ადმინისტრირება, მაგისტრატურა

პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბეგაძე, ასოცირებული  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

სახელი გვარი: ლია ხელაძე

სახელი გვარი: ნათია მუხულიშვილი

20.06.2017

## აბსტრაქტი

დღესდღეობით, მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ტურისტული გამოცდილების გაუმჯობესების თვალსაზრისით, განთავსებამ, ტრანსპორტმა, კვებამ, ატრაქციებმა და სხვა კომპონენტმა მთელ განვითარებულ მსოფლიოში წარმოუდგენლად მაღალ დონეს მიაღწია, და ეს შესაძლებელი გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით. უმნიშვნელოვანესია ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კავშირების უზრუნველყოფა ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორებს შორის, რომ არ მოხდეს მოგზაურობის დაგეგმვისა და გამოცდილების შეფერხება, რადგან მოგზაურობა მოითხოვს ეფექტიანი, ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებას, რომ შედგეს მრავალმხრივი მოგზაურობა. ბიზნესს, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიებს აქტიურად იყენებს, წარმატების გაცილებით მეტი შანსი აქვს. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის ინდუსტრიისთვის, რაც განპირობებულია პროდუქტის სპეციფიკით, აგრეთვე სხვადასხვა მაღალტექნოლოგიური საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით, რომელსაც ტურიზმის სექტორი მთელ მსოფლიოში იყენებს. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ ტურიზმის მთელი ინდუსტრია შეცვალა. კვლევებმა აჩვენა, რომ IT გავლენას ახდენს ყველა სექტორის ტურისტული ორგანიზაციების მომხმარებლებთან ურთიერთობის ფორმაზე, მათი კონკურენციის სტილზე, სტრატეგიის დაგეგმვაზე, პროდუქტის ღირებულების მატებაზე, საქმის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებსა და შემოსავალზე, ოპტიმიზაციაზე და ასე შემდეგ. სწორედ ამიტომ ჩვენს მიზანს წარმოადგენდა გვეკვლია, თუ რა გავლენას ახდენს ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ტურისტული ინდუსტრიის მდგრად განვითარებაზე, ანუ რამდენად უწყობს ხელს ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას, ისე რომ მომავალი თაობები ეკოლოგიური საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდნენ. ასევე განვიხილავთ, ტურიზმის მდგრადი განვითარების თანამედროვე მიდგომებს, საერთაშორისო ტურიზმის ინდუსტრიაში არსებულ ახალ ტექნოლოგიებს, საქართველოში მათი გამოყენების მასშტაბებსა და გავლენებს, და განვსაზღვრავთ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობებს ჩვენს ქვეყანაში.

კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიები უდიდეს როლს ასრულებენ, არა მხოლოდ ტურიზმის, არამედ თითქმის ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეტაპობრივად მოხდეს ისეთი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც ტურისტულ პროდუქტსა და სერვისს გახდის უფრო მრავალფეროვანს, კომფორტულსა და ტურისტებისათვის მოსახერხებელს და ამავე დროს, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მდგრად განვითარებას, ხოლო იმისათვის, რომ ტურისტული ადგილებისა და საწარმოების მუშაობა უფრო მდგრადი გახდეს, საჭიროა ამ სფეროში დასაქმებულთა მუდმივი გადამზადება, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და მონიტორინგი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები: ტურიზმი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მდგრადი განვითარება.**